საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

წლიური ანგარიში
2021

სარჩევი

1 თავმჯდომარის მიმართვა

2 სტრუქტურა

3 კონკურენციის პოლიტიკის ისტორია საქართველოში

4 სტრატეგიული გადაწყვეტილებების სტატისტიკა

5 საქმის მოკვლევა

6 მარეგულირებელ ორგანოებთან თანამშრომლობა

7 ზეგავლენის შეფასების ანგარიში

8 ბაზრის მონიტორინგი

9 კონცენტრაცია

10 სახელმწიფო დახმარება

11 ანტიდემპინგი

12 საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე განხორციელებული აქტივობები

13 სახელმწიფო შესყიდვების დავების განხილვის საბჭოს აპარატი

14 2014-2021 წლები - შედეგები და ძირითადი მაჩვენებლები

თავმჯდომარის მიმართვა

“ წლევანდელი წლიური ანგარიში განსხვავებული ფერებით და შინაარსით არის წარმოდგენილი. ახალი ლოგოტიპი და ფორმატი იმ ცლილებებს ასახავს, რომელიც კონკურენციის სააგენტომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში განახორციელა.

კონკურენციის აღსრულების პოლიტიკის გაძლიერება, ანტიდემპინგის იმპლემენტაცია და მომხმარებლის უფლებების დაცვის აღსრულების დაწყება – ის სიახლეებია, რომლითაც ჩვენი უწყება უკვე ცხოვრობს.

2021 წელს, პანდემიის პიკის მიუხედავად, კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ აქტიურად განვლო. დასრულდა ფარმაციის ბაზრის მონიტორინგი და 13 რეკომენდაცია გაიცა, რომელთა დანერგვამ პაციენტებს უფრო მეტი არჩევანისა და ბევრად ნაკლები დანახარჯების მიღწევის შესაძლებლობა უნდა მისცეს. მოხარულები ვართ, რომ დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ რეკომენდაციების დანერგვა აქტიურად დაიწყო.

ვაგრძელებთ საავტომობილო საწვავის ბაზრის მონიტორინგს. 2021 წელი მსოფლიო ფასების მნიშვნელოვანი ზრდით გამოირჩეოდა, რაც აისახა კიდეც ჩვენს 100%-ით იმპორტდამოკიდებულ მომხმარებელზე. მიუხედავად ამისა, ბაზარზე კონკურენცია აქტიური იყო. რეკომენდაცია ამ სექტორში მოქმედი სუბიექტების მიმართულებითაც გავეცით და მისი მთავარი შინაარსი კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის პრევენცია იყო.

გასულ წელს ხუთი მოკვლევა დასრულდა - დადგინდა ეკონომიკურ აგენტთა შეთანხმებული ქმედება, ორი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი, არ დადასტურდა სახელმწიფო უწყების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ერთი შემთხვევა. ამავე პერიოდში, საქართველოში განხორციელებული 22 ათასამდე კონცენტრაცია იქნა გადამოწმებული, სააგენტომ 3 სექტორში კომპანიების გაერთიანებაზე თანხმობა გასცა.

ანტიდემპინგური კანონმდებლობის ძალაში შესვლის მიუხედავად, სააგენტოსთვის ბაზრის დაცვის მიზნით არცერთ სექტორს არ მოუმართავს. მიზეზები, სავარაუდოდ, მსოფლიო ბაზარზე სურათის შეცვლაში და ასევე კანონმდებლობის მიღების პრევენციულ ფორმებში უნდა ვეძებოთ.

კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ფუნქციები კვლავ ფართოვდება და ეს პროცესი სრულ თანხვედრაშია ჩვენი ქვეყნის ევროპასთან ინტეგრაციის პროცესთან. გასული წლების გამოწვევების მნიშვნელოვანი ნაწილი დაძლეულია. ახალი 2022 წლის მთავარი მიზანი კი ისევ ჩვენი უწყების ნდობის, რეპუტაციის კიდევ უფრო განმტკიცება და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფუნქციის ეფექტიანი აღსრულება იქნება.

ტრადიციული მადლობა მინდა ვუთხრა კონკურენციის ეროვნული სააგენტოს გუნდს გაწეული შრომისთვის, საქართველოს მთავრობას და პარლამენტს მხარდაჭერისთვის. ჩვენს კოლეგა სახელმწიფო უწყებებს, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორს, ექსპერტებს აქტიური თანამშრომლობისთვის, მასმედიას გვერდით დგომისთვის, ჩვენს საერთაშორისო პარტნიორ უწყებებს და დონორებს ცოდნის, გამოცდილების გაზიარებაში ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ჩვენი უწყება წელსაც მზად არის მიიღოს საჭირო, სასარგებლო და, რაც მთავარია, სამართლიანი გადაწყვეტილებები ბიზნესის და მომხმარებლის ინტერესების შესაბამისად.

ჩვენ გვჯერა, რომ 2022 წელი ბევრად უკეთესი იქნება მსოფლიოსთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით, უკრაინისა და ჩვენი უკრაინელი კოლეგებისთვის. ჩვენი გუნდის სახელით, მათ კიდევ ერთხელ ვუცხადებთ მხარდაჭერას. Слава Україні!

ირაკლი ლეჟვინაძე
საქართველოს კონკურენციის ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

სააგენტოს სტრუქტურა

კონკურენციის პოლიტიკის ისტორია საქართველოში

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელ ინსტიტუტებთან ერთად, დაიწყო კონკურენციის/ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ფორმირების პროცესი საქართველოში.

კონკურენციის პოლიტიკის შექმნას, შესაბამისი ორგანოს სტატუსისა და როლის განსაზღვრას საფუძველი 1992 წლიდან ჩაეყარა.

1996

შეიქმნა პირველი ანტიმონოპოლიური სამსახური.

2005

დამოუკიდებელი უწყება გაუქმდა.

2014

14 აპრილს შეიქმნა საქართველოს კონკურენციის სააგენტო. უწყების ძირითად ამოცანას წარმოადგენს კონკურენციის პოლიტიკის გაძლიერება საქართველოში, კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

2020

4 ნოემბერს ძალაში შევიდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებების ძირითადი ნაწილი, რომელიც სრულად შეესაბამება საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას, DCFTA-ის მოთხოვნებს და ასახულია ევროკავშირის კონკურენციის სამართალში არსებული ძირითადი პრინციპები.

2020

საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება და სააგენტოს სტრუქტურის ქვეშ საქმიანობა დაიწყო სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს აპარატმა.

2021

1 იანვარს ძალაში შევიდა ანტიდემპინგური კანონმდებლობა და სააგენტოში შესაბამისმა დეპარტამენტმა დაიწყო ფუნქციონირება.

2022

29 მარტს საქართველოს პარლამენტმა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი დაამტკიცა.

სტრატეგიული გადაწყვეტილებების სტატისტიკა

დასრულდა 5 მოკვლევა

5

3

3 საქმეზე დაუშვებლობის
გადაწყვეტილება იქნა მიღებული

ბაზრის სხვა მარეგულირებლებთან
ერთად დაიწყო 3 საქმის განხილვა

3

1

მომზადდა ზეგავლენის
შეფასების 1 დოკუმენტი

გაიცა 14 რეკომენდაცია

14

13

13 რეკომენდაცია ფარმაციის ბაზრის
შესწავლის ფარგლებში

1

1 რეკომენდაცია საქმის მოკვლევის შედეგად
(შპს "საქაერონავიგაციას" მიმართ)

განხორციელდა 2
ბაზრის მონიტორინგი

2

1

დასრულდა 1

გადამოწმებულ იქნა
21 423 კონცენტრაცია

21423

3

3 კონცენტრაციაზე გაიცა თანხმობა

ეკონომიკურ აგენტებს დაეკისრათ 58 000
ლარის ოდენობის ფინანსური ჯარიმა

58000

40000

უფასო სასადილოების საქმეზე (მე-7 მუხლი) -
40 000 ლარამდე (2 კომპანიას ჯამში)

2750

თარჯიმნების საქმეზე (11^3 მუხლი) -
2750 ლარი (2 კომპანიას ჯამში)

15000

შეუტყობინებელი კონცენტრაციისთვის -
15 000 ლარი (1 კომპანიას)

საქმის მოკვლევა

2021 წლის მონაცემები



- დასრულებული - 5 საქმის მოკვლევა
- მიმდინარე - 2 საქმის მოკვლევა
- საჩივარზე დაუშვებლობის გადაწყვეტილება - 3
- მიმდინარე - მარეგულირებელ ორგანოებთან ერთად 3 მოკვლევა

დასრულებული მოკვლევები

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები - კანონის მე-7 მუხლი

მოკვლევა დასრულდა - 2021 წლის 9 მარტს

საკითხი ეხებოდა - თბილისის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოებით მომსახურების გაწევის მიზნით გამოცხადებულ კონკრეტულ სახელმწიფო შესყიდვებში შეთანხმებულ ქმედებას, რაც ბაზრის ტერიტორიული ნიშნით გადანაწილებაში გამოიხატა.

საქმის წარმოება მიმდინარეობდა 7 კომპანიის წინააღმდეგ, რომელთაგანაც 4-ს დარღვევა დაუდასტურდა. შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს, კანონით დადგენილ ფარგლებში, შესაბამისი სანქცია დაეკისრათ.

დოკუმენტი -https://bit.ly/38QGt2d

სახელმწიფო უწყებების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვა - კანონის მე-10 მუხლი

მოკვლევა დასრულდა - 2021 წლის 27 დეკემბერს

საკითხი ეხებოდა - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში, სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ პირობებს - გადამზღვეველი კომპანიის დასტურის მოთხოვნასთან დაკავშირებით და ტენდერის იმგვარად გამოცხადებას, სადაც ერთ ლოტად იყო გაერთიანებული სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის, ქონების, თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებები.

სააგენტოს გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დარღვევა არ დადასტურდა, თუმცა კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, მოპასუხეს მიეცა განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია.

დოკუმენტი - shorturl.at/bjoCK

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია - კანონის 11^3 მუხლი

მოკვლევა დასრულდა - 2021 წლის 20 ივლისს

საკითხი ეხებოდა - საყოფაცხოვრებო და კომპიუტერული ტექნიკით ვაჭრობის სფეროში არაკეთილ-სინდისიერი კონკურენციის შესაძლო ფაქტს.

მოკვლევის შედეგად დარღვევის ფაქტი დადასტურდა. კერძოდ, დადგინდა კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით, საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს. ქმედება დამრღვევის მხრიდან გამოიხატა პროდუქციის ისეთი ფორმით პრეზენტირება/რეკლამირებაში, რომელიც შეცდომაში შემყვანია და არასწორ წარმოდგენას უქმნიდა მომხმარებელს.

სააგენტოს გადაწყვეტილებით, დამრღვევს დაევალა კომპანიის სარეკლამო პოლიტიკა აწარმოოს იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული მისი და მომჩივანი კომპანიის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის რისკი.

დოკუმენტი - shorturl.at/ryTW8

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია - კანონის - 11^3 მუხლი

მოკვლევა დასრულდა - 2021 წლის 28 დეკემბერს

საკითხი ეხებოდა – სათარჯიმნო/მთარგმნელობითი მომსახურების სფეროში მოქმედი 5 კომპანიის მიერ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესაძლო ფაქტს.

მოკვლევის შედეგად 2 მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ დარღვევა დადასტურდა, რაც საქმიან და კომერციულ ურთიერთობებში ISO 9001:2015 სერტიფიკატისა და IQNET-ის შესაბამისი ლოგოს უკანონო გამოყენებაში გამოიხატებოდა. სააგენტოს შეფასებით, აღნიშნული წარმოადგენს კომპანიის პრეზენტირებას/რეკლამირებას ცრუ ინფორმაციის გავრცელების გზით.

სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხსენებულ კომპანიებს დაეკისრათ შესაბამისი ფინანსური სანქცია და კანონდარღვევის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა დაევალათ. ამავე გადაწყვეტილებით, ერთ-ერთ მოპასუხე კომპანიას დაევალა განხორციელებული ქმედების „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, დამაბნეველი და შეცდომაში შეყვანის რისკის მატარებელი ინფორმაციის ამოღება, რომელიც შეეხება ISO 9001:2018-ის ლოგოსა და სერტიფიცირებას.

დოკუმენტი – https://bit.ly/3JJ89CR

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია - კანონის 11^3 მუხლი

მოკვლევა დასრულდა - 2021 წლის 27 აპრილს

საკითხი ეხებოდა – ტურისტულ სექტორში, კონკურენტი კომპანიის მხრიდან – სავაჭრო ინფორმაციის და კომერციული საიდუმლოების არაკეთილსინდისიერად გამოყენების ფაქტს. კერძოდ, სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღებას, მოპოვებას, გამოყენებას ან გავრცელებას.

მოკვლევის შედეგად დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა.

დოკუმენტი - https://cutt.ly/RGWzm3A

მიმდინარე მოკვლევები

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

მოკვლევა დაიწყო - 2021 წლის 29 ივნისს

საკითხი ეხება – სათარჯიმნო/მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში 5 მოპასუხე კომპანიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტს.

მოკვლევა მიმდინარეობს ორი მიმართულებით: მე-6 მუხლის (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) და მე-7 მუხლის (კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება) შესაძლო დარღვევის ფაქტებზე.

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

მოკვლევა დაიწყო - 2021 წლის 25 ივნისს

საკითხი ეხება – დაზღვევის და ჰოსპიტალურ სექტორში მოქმედი კომპანიების დავას მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში.

მოკვლევა მიმდინარეობს ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

დავის საგანს წარმოადგენს არასამართლიანი სავაჭრო პირობების დადგენა, რაც შესაბამისი ბაზრის შეზღუდვის მიზნით, ერთიანი ეკონომიკური სუბიექტის მიერ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებასა და მხოლოდ ერთი სადაზღვევო კომპანიის მიმართ ექსკლუზიური სადაზღვევო მომსახურების ხელშეკრულების დადებაში გამოიხატება.

დაუშვებლობის გადაწყვეტილებები

საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლისა და დარღვევის გონივრული ეჭვის არარსებობის გამო, 3 საჩივართან მიმართებაში, საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება:

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

სადაზღვევო და ავტომანქანების შეკეთების სფეროში მოქმედ კომპანიებს შორის დავაში „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევის შესაძლო ფაქტთან მიმართებით.

დოკუმენტი: https://cutt.ly/FGWxKf5

სახელმწიფო უწყებების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვა

სამშენებლო და სპეციალური ტექნიკის 2021-2022 წლების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

დოკუმენტი: https://cutt.ly/hGWx5d5

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია

საფოსტო გადაზიდვების სფეროში მოქმედი კომპანიების დავაში „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის

მე-11^3 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ.

დოკუმენტი: https://cutt.ly/aGWciMc

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო საქმის მოკვლევას ახორციელებს - საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

სასამართლო უფლებამოსილია სრულად გადასინჯოს სააგენტოს გადაწყვეტილება, მათ შორის, ჯარიმის ოდენობის ნაწილში.

ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოებთან თანამშრომლობა

კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების, თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, 2021 წელს, კონკურენციის მსოფლიო დღის ფარგლებში, ხუთივე მარეგულირებელი უწყების ხელმძღვანელმა პირმა ერთიანი თანამშრომლობის დოკუმენტს მოაწერა ხელი. შეთანხმების მიზანია – ერთობლივი ორგანიზებით, კონკურენციის პოლიტიკის ყოველ-წლიური კონფერენციის ჩატარდება, სადაც უწყებები წლის მანძილზე განხორციელებულ საქმეებს, მიღებულ შედეგებს და გამოწვევებს განიხილავენ.

განახლებული კანონმდებლობის ფორმატში, 2021 წლის განმავლობაში, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს სამივე მარეგულირებელთან – საქართველოს ეროვნულ ბანკთან, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

კომუნიკაციების კომისია

სემეკი

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

საქართველოს ეროვნული ბანკი

საქმის მოკვლევა დაიწყო 2021 წლის 5 ივლისს

საკითხი ეხება – საგადახდო მომსახურების ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის შესწავლის მიზნით, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდასთან დაკავშირებულ საკითხს.

საქართველოს ბანკი – „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებით სწავლობს – სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდის, კონტროლის და მართვის სისტემის შექმნის მიზნით გამოცხადებულ აუქციონებში გამარჯვებული ბანკების ქმედებებს.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტო მოკვლევის პროცესში აქტიურად მონაწილეობს.

კონცენტრაციის შესწავლა დაიწყო - 2021 წლის 17 ივნისს

საკითხი ეხებოდა – „კრედო ბანკის“ მიერ „ფინკა ბანკი საქართველოს“ აქციების 100%-ით შეძენას და ბანკების შერწყმას, რასთან დაკავშირებითაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სააგენტოს ეთხოვა პოზიციის დაფიქსირება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, სააგენტოს გამოეგზავნა გადაწყვეტილების პროექტი. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხილულ იქნა 100,000 ლარამდე სასესხო პროდუქტების ბაზარი და 100,000 ლარზე მეტი მოცულობის სასესხო პროდუქტების ბაზარი. კონცენტრაცია მიჩნეულ იქნა კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად – რასაც კონკურენციის ეროვნული სააგენტოც დაეთანხმა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

საქმის მოკვლევა დაიწყო - 2021 წლის 30 სექტემბერს

საკითხი ეხება – სს „სილქნეტის“, შპს „მაგთიკომის“, შპს „ახალი ქსელებისა“ და შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ საჩივრების საფუძველზე დაწყებულ მოკვლევას – შპს „მედია რაითს ჯორჯიას“, შპს „ტელეიმედის“, სს „მედია ჰოლდინგის“, შპს „მთავარი არხის“, შპს „ტელეკომპანია პირველის“, შპს „პოსტვ-ის“ და შპს „ფორმულას“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის (კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება) სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

დავის საგანია – მოპასუხეების მიერ შპს „მედია რაითს ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელიც ამ უკანასკნელს აძლევს საქართველოში მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირებთან ტელეარხების სამაუწყებლო ეთერის ფასიანი ტრანზიტის ხელშეკრულებების (გადახვევა-დაპაუზების უფლებით) დადებისა და შესაბამისი ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტო აქტიურად მონაწილეობს საკითხის შესწავლის პროცესში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

მოკვლევა დაიწყო - 2021 წლის 28 დეკემბერს

საკითხი ეხება – შპს „ფშაველას“ განცხადების საფუძველზე, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) სავარაუდო დარღვევის ფაქტს. დავის საგანია – „ფშაველა ჰესისთვის“ მოპასუხის მიერ წყლის მიწოდებაზე უარის თქმის საკითხი.

სააგენტო აქტიურად მონაწილეობდა საჩივრის დასაშვებობის განხილვის პროცესში, დეტალურად გაეცნო საქმის მასალებს და საქმეზე მოკვლევის დაწყებას მხარი დაუჭირა.

კონკურენციის საკითხებზე, მარეგულირებელი ორგანოები ხელმძღვანელობენ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი პოსტულატებით და შეისწავლიან საკითხებს, თუ ქმედების განმახორციელებელი ყველა სუბიექტი ერთი და იმავე რეგულირებადი სფეროს ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენს.

ზეგავლენის შეფასების ანგარიში

ფოთის საზღვაო ნავსადგურის საპორტო (სტივიდორული) მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული ბაზრების EX-POST მონიტორინგი

საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ ფოთის საზღვაო ნავსადგურის საპორტო (სტივიდორული) მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული ბაზრების ex-post მონიტორინგი განახორციელა.

2016-2019 წლების მიხედვით, მთლიანობაში, სატერმინალო მომსახურების ბაზარზე კონკურენტული გარემოა. ზრდადია აღნიშნულ ბაზარზე მოქმედი სუბიექტების ერთობლივი ბრუნვა (77%-ით), გადამუშავებული საკონტეინერო ტვირთების რაოდენობა (68%-ით) და დასაქმებულთა რაოდენობაც (13,5%-ით). ამასთან, მომსახურების ტარიფები უცვლელი იყო.

ფოთის საზღვაო ნავსადგურში შემოტანილი და გადაზიდული საკონტეინერო ტვირთების რაოდენობა 2016-2019 წლებში (TEU)



ზრდადი იყო ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები ავტოსატრანსპორტო მომსახურების ბაზარზეც, კერძოდ: ეკონომიკური აგენტების ერთობლივი ბრუნვა 194%-ით, გადაზიდული კონტეინერების რაოდენობა 62%-ით (TEU განზომილებაში 11-ჯერ), დასაქმებულთა რაოდენობა 16%-ით.

2016 წლიდან, ფაქტობრივად, არ შემცირებულა ფოთის საზღვაო ნავსადგურში ოპერირებადი საზღვაო ხაზების რაოდენობაც და 2019 წლის ჩათვლით, მათი მაჩვენებლებიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, ერთობლივი ბრუნვა 73,5%-ით, ცალობით ჩატვირთული და გადმოტვირთული კონტეინერების რაოდენობა 167%-ით და დასაქმებულთა რაოდენობა 2%-მდე. საზღვაო ხაზებს სრული შესაძლებლობა აქვთ, საკუთარი სურვილის შესაბამისად, აირჩიონ საკონტეინერო ტვირთების მომსახურე სატერმინალო კომპანიები და ტერმინალებში ტვირთის გადამზიდავი ავტოსატრანსპორტო საშუალებებიც.

საპორტო (სტივიდორული) მომსახურების ბაზარზე 100%-იანი დომინანტური მდგომარეობა უჭირავს სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს". 2016-2019 წლებში იზრდებოდა მის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები: ერთობლივი ბრუნვა 55%-ით, თითქმის გაორმაგდა შემოტანილი და გადაზიდული საკონტეინერო ტვირთების მოცულობაც, ხოლო მომსახურების ტარიფები უცვლელია.

პოზიტიური შედეგების მიუხედავად, - სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მიერ, უკანასკნელ წლებში გატარებული მთელი რიგი კომპლექსური და პრევენციული ღონისძიებებისა, ჯერ კიდევ პრობლემურია უსაფრთხოებასთან და სხვადასხვა ინციდენტებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც უნდა მოგვარდეს სხვადასხვა სახის დამატებითი აქტივობებით, რაც არ შეიძლება იყოს დაკავშირებული შესაბამის ბაზრებზე კონკურენციის შეზღუდვასთან.

ფოთის საზღვაო ნავსადგურში, გაფართოების მიმართულებით დაგეგმილი მასშტაბური საინვესტიციო პროექტები, მათ შორის ტერმინალის გაფართოება და ახალი ნავმისადგომების აშენება, ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებას, ტექნიკურ მოდერნიზაციას და, საბოლოო ჯამში, მისი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას.

სატერმინალო კომპანიების აბსოლუტური უმრავლესობის შეფასებით, სააგენტოს გადაწყვეტილება სატერმინალო ბიზნესსა და კონკურენტულ გარემოზე პოზიტიურად აისახა. შესაბამისად, საკონტეინერო ტვირთის გადამზიდავებს ტვირთის დამუშავებისთვის მათთვის ყველაზე ხელსაყრელი ტერმინალის თავისუფლად არჩევის საშუალება მიეცათ, შესაბამისად, არ განხორციელდა მომსახურების ფასების ზრდა. მათივე განმარტებით, აღნიშნული მომენტისთვის, შესაბამის ბაზრებზე, კონკურენტული გარემოა.

ინფორმაციისთვის, 2016 წელს სატერმინალო მომსახურების ბაზარზე მოქმედი 14 ეკონომიკური აგენტის საჩივრის საფუძველზე, ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მხრიდან ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, სააგენტომ მოკვლევა განახორციელა. საკითხის შესწავლის დასრულებამდე, სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, სასამართლომ აკრძალა კონკურენციის საწინააღმდეგოდ მიჩნეული კონტეინერების გადამუშავების ახალი სქემისა და საპორტო მომსახურების ახალი კომბინირებული ტარიფის ამოქმედება. მოკვლევის ფარგლებში, კონკურენციის სააგენტოს მიერ გაიცა რეკომენდაციები - გამოირიცხოს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვა. უსაფრთხოების ნორმების დაცვის და ტექნიკური სტანდარტების გაუმჯობესების მიმართულებით ჩატარდეს საჭირო ღონისძიებები. განხორციელდეს - ფოთის საზღვაო ნავსადგურსა და საბაჟო საწყობებთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

ბაზრის მონიტორინგი

ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგი
დასრულებული

სააგენტომ დაასრულა ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგი, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს სახალხო დამცველის „2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე დაიწყო.

ფაქტობრივი გარემოებები:

ქვეყანაში, 2021 წლის მდგომარეობით, რეგისტრირებულია 10450 დასახელების მედიკამენტი. 3213 აფთიაქის ოპერირებას ახორციელებს 1712 ეკონომიკური აგენტი. 10 და მეტი აფთიაქი გააჩნია 12 კომპანიას - სულ 1238 აფთიაქი. 3 ყველაზე მსხვილი კომპანია ფლობს 927 აფთიაქს.

2020 წელს, 2016 წელთან შედარებით, იმპორტირებული მედიკამენტების თვითღირებულება ლარში გაზრდილია 41%-ით, ხოლო ამერიკულ დოლარში 7%-ით, შესაბამისად, თვითღირებულების ზრდა 34%-ით პირდაპირ კავშირშია ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებასთან ან/და შესასყიდი მედიკამენტების თვითღირებულების ზრდასთან უცხოურ ვალუტაში:



2016-2020 წლებში, ბაზრის იმპორტის დონეზე კონცენტრაციის მაჩვენებელი - HHI ინდექსი, სტაბილურად ზომიერად კონცენტრირებული ნიშნულის ფარგლებშია (1289-1799), ხოლო იმპორტიორ ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობა მერყეობს 156-დან 180 ერთეულ კომპანიამდე:



კონცენტრაციის არსებული მაჩვენებლის და იმპორტიორი ეკონომიკური აგენტების რაოდენობის მიუხედავად, 3 ყველაზე მსხვილი იმპორტიორი კომპანიის წილი ბაზრის იმპორტის დონეზე სტაბილურად მაღალია (57%-დან 68%-მდე):



შესაბამის ბაზარზე, კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, მონიტორინგის ფარგლებში შეირჩა 6 სამკურნალო ჯგუფი, საერთო ჯამში, 150-მდე დასახელების მედიკამენტი.

შერჩეულ 6 სამკურნალო ჯგუფში, ფიქსირდება როგორც 1 კომპანიის მიერ ბაზრის 40% და მეტი წილის ფლობა და შესაბამისად, სახეზეა დომინანტური მდგომარეობა, ასევე, კომპანიათა ჯგუფის მიერ, რიგ შემთხვევებში, კმაყოფილდება ჯგუფური დომინანტობის არსებობისთვის აუცილებელი ერთ-ერთი პირობა საბაზრო წილების სახით და, სააგენტოს შეფასებით, სახეზეა ჯგუფური დომინანტური მდგომარეობაც.

2016-2020 წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ ბაზარზე არსებობს მნიშვნელოვან მოთამაშედ ფორმირების მაღალი ბარიერი, რადგან როგორც იმპორტის, ასევე ბაზრის საცალო დონეზე 3 მსხვილი

კომპანიის შემადგენლობა 2016-2020 წლებში უცვლელია, რასაც გარკვეულწილად განაპირობებს ბაზრის ჰოლდინგური მოწყობისა და ვერტიკალური/ჰორიზონტალური ინტეგრაციის მაღალი ხარისხი. ამასთან, ფარმაცევტული ბაზრის მოქმედი საკანონდებლო/პრაქტიკული მოწესრიგება, კერძოდ ის ფაქტი, რომ ექიმის მიერ რეცეპტის/დანიშნულების დროს ხდება სამკურნალო საშუალების სავაჭრო დასახელების მითითება, თავისთავად, წარმოადგენს ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვან ბარიერს.

სააგენტოს მიერ, რეალიზებული მედიკამენტების კონკრეტული კომპანიების დონეზე ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპანიები მეტწილად (საერთო რეალიზაციის 50% და მეტი) ახორციელებენ იმ მედიკამენტების რეალიზაციას, რაც წარმოადგენს ამავე კომპანიის/კომპანიების იმპორტირებულ ან/და ჰოლდინგურ ჯგუფში შემავალი კომპანიის მიერ წარმოებულ პრეპარატებს. აღნიშნული გარემოება, სააგენტოს პოზიციით, შესაძლოა წარმოადგენდეს ვერტიკალური/ჰორიზონტალური ინტეგრაციის, ინტერესთა შეუთავსებლობის ან/და ბაზრის ჰოლდინგური სტრუქტურის შედეგს.

საცალო რეალიზაციის მონაცემებზე დაკვირვებით დგინდება, რომ თავისუფალი არჩევანის და გადაწყვეტილებების მხოლოდ პაციენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მიღების შემთხვევაში, ურთიერთჩამანაცვლებელ მედიკამენტებს შორის კონკურენტული წნეხის არსებობის პირობებში, შერჩეული ჯგუფების და რამდენიმე კომპანიის მხოლოდ საცალო რეალიზაციის დონეზე, 2016-2020 წლებში პაციენტი/მომხმარებელი დაზოგავდა საშუალოდ 16 მილიონ ლარს Ceftriaxone, Ceftazidime; Cefdinir; Cefpodoxime; Cefotaxime; Cefixime ჯგუფის შემთხვევაში, 5 მილიონ ლარს Enalapril + Hydrochlorothiazide; Lisinopril + Hydrochlorothiazide; Ramipril + Hydrochlorothiazide; Captopril + Hydrochlorothiazide ჯგუფის შემთხვევაში.

რეკომენდაციები ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით

პირველი რიგის რეკომენდაციები: 1-11, მეორე რიგის რეკომენდაციები: 12-13

1 **მხოლოდ გენერიკული რეცეპტი/დანიშნულება** – წარმოადგენს ჩამანაცვლებელ პროდუქტებს შორის კონკურენციის უზრუნველყოფისა და გენერიკების საბაზრო წილის ზრდის ყველაზე მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ საშუალებას. რეცეპტისა და დანიშნულების დონეზე უნდა მიეთითოს მხოლოდ მედიკამენტის საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (გენერიკი) და უნდა შეიზღუდოს სავაჭრო დასახელების მითითება. სხვადასხვა კვლევებით და არაერთი ქვეყნის გამოცდილებით, დადასტურებულია ის ფინანსური სარგებელი, რასაც მომხმარებელი იღებს გენერიკული მედიკამენტების შეძენით, რაც თავის მხრივ პირდაპირ კავშირშია მედიკამენტებზე გაწეული დანახარჯების შემცირებასთან;

2 **გენერიკული ჩამანაცვლებლის მითითება** – სასურველია რეცეპტის/დანიშნულების დონეზე, ძირითად გენერიკთან ერთად, მიეთითოს სულ მცირე ერთი დამატებითი ჩამანაცვლებელი გენერიკი;

3 **ელექტრონული რეცეპტის/დანიშნულების ერთიანი სისტემის დანერგვა;**

4 **დარგის მარეგულირებლის მიერ რეცეპტის/დანიშნულების განგრძობადი კონტროლი;**

5 **მედიკამენტების ხარისხი** – სააგენტოს პოზიციით, GMP სტანდარტი აუცილებელია მოქმედებდეს ბაზარზე მედიკამენტების დაშვების ორივე დონეზე – წარმოება და იმპორტი. დარგის მარეგულირებელმა უნდა უზრუნველყოს გენერიკული მედიკამენტების ბიოექვივალენტობის შემოწმება და შედეგად უნდა იყოს იმის გარანტი, რომ ბაზარზე დაშვებული ყველა მედიკამენტი აკმაყოფილებს ხარისხის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს;

6 **სამკურნალო გაიდლაინების სრულყოფა;**

7 **ფარმაცევტის საქმიანობის ეფექტიანი რეგულირება და განგრძობადი მონიტორინგი** – ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, დეტალურად გაიწეროს ფარმაცევტის მიერ მედიკამენტის საბოლოო მომხმარებლამდე მიტანის ვალდებულებები. კერძოდ, გენერიკული რეცეპტის/დანიშნულების დანერგვის პარალელურად, აუცილებელია დარეგულირდეს მედიკამენტის შეძენის დროს ფარმაცევტის ვალდებულება – შესთავაზოს მოხმარებელს სულ მცირე 3 ყველაზე დაბალი ფასის მქონე მედიკამენტი. ამასთან ერთად, აუცილებელია დარგის მარეგულირებლის მიერ განხორციელდეს აღნიშნულის განგრძობადი მონიტორინგი, ელექტრონული რეცეპტის/დანიშნულების მეშვეობით;

8 **სანქცირების მექანიზმის გამკაცრება და ეფექტიანი კონტროლი -** მნიშვნელოვანია, რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გაწერილ ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტებს ჰქონდეს შესაბამისი სანქცირების მექანიზმი, რაც საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ადმინისტრაციულთან ერთად შესაძლოა იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც. რაც შეეხება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხს, მიზანშეწონილია ჯარიმის თანხა იყოს ადეკვატური, რათა მას ჰქონდეს საკმარისი შემაკავებელი/პრევენციული ეფექტი;

9 **რეცეპტის/დანიშნულების გამომწერ პირსა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის ურთიერთობის მაქსიმალური გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა;**

10 **დარგის მარეგულირებლის მიერ გენერიკულ მედიკამენტებთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიის წარმოება;**

11 **საყოველთაო და კერძო სადაზღვევო „შემავსებელი“ პაკეტების თანაარსებობის უზრუნველყოფა -** მედიკამენტებზე და ზოგადად, სამედიცინო მომსახურებაში „ჯიბიდან“ გადახდების შესამცირებლად, სასურველია, მომხმარებელს შეეძლოს საყოველთაო დაზღვევის პროგრამის შემავსებელი კერძო სადაზღვევო პროდუქტის შეძენა – სულ მცირე, მედიკამენტების კომპონენტის ნაწილში;

12 **ბაზრის ჰოლდინგური სტრუქტურის შეზღუდვა -** სააგენტოს პოზიციით, მნიშვნელოვანია კონკრეტული რეგულირების ქვეშ მოექცეს მედიკამენტების იმპორტიორი/საბითუმო და საცალო მიმწოდებელი ეკონომიკური აგენტების მიერ არაპროფილური საქმიანობების განხორციელება, რაც გამორიცხავს ბაზრის ამგვარი სტრუქტურის შესაძლო უარყოფით შედეგებს მომხმარებელზე და ბაზრის ზოგად კონკურენტუნარიანობაზე;

13 **„თავისუფალი ფასწარმოქმნის“ პოლიტიკის გადახედვა.**

დოკუმენტი – https://cutt.ly/yGWOs96

საავტომობილო საწვავის ბაზრის მონიტორინგი
მიმდინარე

2021 წლის შუალედური ანგარიში

2018 წლის 5 ივლისიდან, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო საავტომობილო საწვავის ბაზრის მონიტორინგს ახორციელებს, რომელსაც წინ უძღოდა სააგენტოს 2018 წლის გადაწყვეტილება კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების თაობაზე, რის შედეგადაც კომპანიებს დაეკისრათ ჯარიმა. სააგენტო, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, გარკვეული პერიოდულობით, შუალედურ შეფასებებს/ანგარიშებს საჯაროდ წარადგენს.

2013 წლიდან, ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების კუთხით, დადებითი ცვლილებები შეინიშნება - როგორც ბენზინის და დიზელის იმპორტის, ასევე საბითუმო და საცალო რეალიზაციის მიმართულებით. 2012 წელს, ბაზრის იმპორტის დონეზე წარმოდგენილი იყო 8 ეკონომიკური აგენტი, რომელთა რაოდენობა მნიშვნელოვანი ზრდის ტრენდით გამორჩევა. აღნიშნულის პარალელურად, შემცირდა ბაზრის კონცენტრაციის (HHI) ინდექსი:

იმპორტიორი კომპანიების რაოდენობა და HHI ინდექსი



ბაზრის იმპორტის დონეზე, ყველაზე მსხვილ იმპორტიორ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“. 3 ყველაზე მსხვილი კომპანიის წილი შეადგენს 58.4%-ს. ამასთან, არც ერთი მათგანის წილი არ არის 15%-ზე ნაკლები. შესაბამისად, ბაზრის იმპორტის დონეზე დაკმაყოფილებულია ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის არსებობისთვის აუცილებელი ერთ-ერთი პირობა საბაზრო წილების სახით.

2021 წელს, ქვეყანაში, საერთო ჯამში, იმპორტირებულია 1 453 707 ათასი ლიტრი ბენზინი და დიზელი, რაც 7.2%-ით მეტია 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საწვავის ყველაზე დიდი მოცულობის იმპორტი განხორციელდა თურქმენეთიდან - 22.1%, რომელსაც მოყვება რუსეთის ფედერაცია - 19.2% და რუმინეთი -18.2%.

საერთო იმპორტის 45.7% შეადგინა დიზელის ტიპის საწვავმა, ხოლო 54.3% ბენზინის. ბენზინის ტიპის საწვავიდან, ყველაზე მოთხოვნად სახეობას წარმოადგენდა რეგულარის მარკის საწვავი, რომლის პროცენტულმა წილმა ბენზინის სახეობებში შეადგინა - 64%, ხოლო საერთო იმპორტში - 34.9%

2015 წლის დასაწყისში, შესაბამისი ბაზრის საცალო დონეზე ფუნქციონირებდა, დაახლოებით, 960 ავტოგასამართი სადგური, 2018 წელს - 1190, 2019 წელს - 1210, 2020 წელს 1216, 2021 წელს კი 1232. ავტოგასამართი სადგურების რაოდენობრივი ზრდა, ძირითადად, განპირობებულია ბაზარზე ახალი ეკონომიკური აგენტების შესვლით და, ზოგადად, მცირე ქსელების სეგმენტის გააქტიურებით, რაც თავის მხრივ აისახა შესაბამისი ბაზრის საცალო სარეალიზაციო დონის საერთო წილობრივ განაწილებაზე. შედარებისთვის, ხსენებული სეგმენტის საერთო წილი 2018 წლის მონაცემებით შეადგენდა 39.6%-ს, 2019 წელს - 39.9 %, 2020 წელს 43.5%, ხოლო 2021 წელს 41.2%-ს. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ 2021 წელს ბაზრის საცალო დონეზე ყველაზე მსხვილი 5 კომპანიის შემადგენლობა შეიცვალა, რაც კონკურენტული გარემოს შეფასების კუთხით დადებით ფაქტორს წარმოადგენს:

შასაბამისი ბაზრის საცალო დონე 5 მსხვილი კომპანია და მცირე ქსელები



აღნიშნული, თავის მხრივ, გავლენას ახდენს საცალო ფასების ფორმირებაზე და შედეგად, მსხვილი კომპანიებსა და მცირე ქსელებს შორის, საცალო ფასწარმოქმნა განსხვავებულია, რაც მომხმარებლისთვის დამატებითი არჩევანის შესაძლებლობას ქმნის.

ბაზრის საცალო დონეზე, ყველაზე მსხვილ ეკონომიკურ აგენტს წარმოადგენს შპს „რომპეტროლ საქართველო“. 3 ყველაზე მსხვილი კომპანიის წილი შეადგენს 45%-ს, შესაბამისად, არ კმაყოფილდება ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის პირობა საბაზრო წილებთან დაკავშირებით.

საცალო სარეალიზაციო ფასზე მოქმედი ფაქტორების ანალიზის პროცესში, მნიშვნელოვანია პლატსის ფასის ცვლილება, ფაქტობრივად იმპორტირებული საავტომობილო საწვავის ღირებულება და ლარის გაცვლითი კურსი. 2021 ივნისის თვიდან, ეროვნული ვალუტა ამერიკულ დოლართან მიმართებით მეტ-ნაკლებად სტაბილურ ნიშნულს ინარჩუნებდა, თუმცა აღნიშნული არ იყო საკმარისი პლატსის გაზრდილი ფასის სრულად დასაკომპენსირებლად.

ფასების დინამიკა - რეგულარის მარკის საწვავი, 2021 წელი



2021 წლის ოქტომბრის თვიდან 2022 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდში, საცალო ფასის 55-60%-ს შეადგენდა იმპორტირებული საწვავის საბაჟო ღირებულება, რაც მოიცავს ქვეყნის გარეთ საწვავის შეძენისა და საქართველოს ტერიტორიამდე ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. საცალო ფასში 27-28%-ს შეადგენს გადასახადები დღგ-ს (საცალო ფასის 18%) და აქციზის (1 ლიტრი - 37 თეთრი) სახით. მიღებული მონაცემების მიხედვით, 1 ლიტრ საწვავზე საოპერაციო დანახარჯები მსხვილი კომპანიებისთვის შეადგენს საშუალოდ 25 თეთრს, რაც მოიცავს ქვეყანაში საწვავის იმპორტის მომენტიდან მისი საცალო მომხმარებლამდე მიტანის ხარჯებს. შესაბამისად, განსახილველ პერიოდში, საცალო ფასნამატი რეგულარის მარკის საწვავზე შეადგენდა 5-10%-ს:

საცალო ფასი და შემადგენელი კომპონენტები
რეგულარის მარკის საწვავი, მსხვილი კომპანიები



საავტომობილო საწვავის საცალო ფასები ზრდის ტრენდით გამოირჩეოდა საქართველოსთვის ბენზინის ტიპის საწვავის ძირითად მომწოდებელ ქვეყნებშიც:

საწვავის ფასი მომწოდებელ ქვეყნებში, USD, 2021-2022 წლები



შუალედური ანგარიშის ძირითადი მიგნებები:

1. 2013 წლიდან, ბენზინისა და დიზელის როგორც იმპორტის, ასევე საბითუმო და საცალო რეალიზაციის ნაწილში, გაზრდილია მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა, შემცირებულია ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი, რაც კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მაჩვენებელია;

2. ბაზრის იმპორტის დონეზე სახეზეა ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის არსებობისთვის აუცილებელი ერთ-ერთი პირობა საბაზრო წილების სახით;

3. საცალო ბაზარზე მოქმედი ხუთი მსხვილი ეკონომიკური აგენტის ჯამური წილი, 2021 წლის მონაცემებით, შეადგენს 58.8%-ს, ხოლო სხვა კომპანიების ჯამური წილი 41.2%-ის ფარგლებშია. 2015 წლის დასაწყისში, საცალო ბაზარზე ფუნქციონირებდა დაახლოებით 960 ავტოგასამართი სადგური, 2019 წელს - 1210, 2020 წელს - 1216, ხოლო 2021 წელს კი 1232;

4. 2021 წელს ფიქსირდება ბაზარზე მოქმედი ყველაზე მსხვილი 5 კომპანიის შემადგენლობის ცვლილება. „ხუთეულში“ ახალი კომპანიის შესვლა, ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების კუთხით, დადებით გარემოებას წარმოადგენს;

5. 2021 წელი გამოირჩეოდა პლატსის ფასის ზრდის დინამიკით. წლის მეორე ნახევრიდან შეინიშნება ლარის გაცვლითი კურსის გამყარება/სტაბილურობა, თუმცა აღნიშნული არ აღმოჩნდა საკმარისი საერთაშორისო ბაზარზე საწვავის გაზრდილი ფასის სრულად დასაკომპენსირებლად.

რეკომენდაცია დარგობრივ ასოციაციებს და ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს

ბოლო პერიოდში, დარგობრივი ასოციაციების და ბაზარზე მოქმედი რიგი ეკონომიკური აგენტების მხრიდან, გახშირდა განცხადებები საწვავის სამომავლო ფასების მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით. განცხადებები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ეკონომიკური აგენტების სამომავლო ქცევასთან დაკავშირებით, ბაზარს სძენს დამატებით გამჭვირვალობას და შესაძლებელია კონკრეტული კომპანიისთვის/კომპანიებისთვის წარმოადგენდეს კონკურენტის/კონკურენტების ქცევის წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას. შესაბამისად, ინფორმაცია, რომელიც ამგვარი განცხადებებით ხდება საჯარო, წარმოადგენს ბაზრის დამატებით გამჭვირვალობას და შესაძლოა მოიცავდეს სენსიტიურ მონაცემებს და კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის რისკი. [1]

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს და დარგობრივ ასოციაციებს, თავი შეიკავონ საწვავის სამომავლო ფასებთან დაკავშირებული განცხადებებისგან, განურჩევლად იმისა, ემყარება თუ არა ეს განცხადებები საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე პროცესებს.

სააგენტო მუდმივ რეჟიმში აწარმოებს სასაქონლო და მომსახურების ბაზრების მონიტორინგს და ანალიზს.

თუ მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი გარემოებები წარმოშობს გონივრულ ეჭვს შესაბამისი ეკონომიკური აგენტის/აგენტების მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ, სააგენტო საკუთარი ინიციატივით იწყებს საქმის მოკვლევას აღნიშნული პირის/პირების მიმართ.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო შეიმუშავებს განსახილველად სავალდებულო წინადადებებს და რეკომენდაციებს საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღებისთვის.

[1] http://www.oecd.org/competition/cartels/48379006.pdf
იხ. Nitshe and von Hinten-Reed, 2004; Bigoniy, Fridolfssonz, Le Coq and Spagnolo, 2010.

კონცენტრაცია 2021

წელს ქვეყანაში განხორციელდა 21 423 კონცენტრაცია

2 კონცენტრაცია განხორციელდა სააგენტოსთვის წინასწარი შეტყობინებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

1 კონცენტრაცია განხორციელდა სააგენტოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე. ეკონომიკურ აგენტს კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა დაეკისრა. საკითხის შესწავლის შემდეგ გაიცა თანხმობა.

1 კონცენტრაცია განხორციელდა სააგენტოსთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, რასთან დაკავშირებითაც, 2021 წელს, სააგენტომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

კონცენტრაცია წასახემსებელი პროდუქციის ბაზარზე

შეტყობინება მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ უკავშირდებოდა საქართველოში წასახემსებელი პროდუქციის ბაზარზე საერთაშორისო კომპანიის მიერ, მის სრულ მფლობელობაში მყოფი შვილობილი კომპანიის მეშვეობით, მეორე საერთაშორისო კომპანიის პირდაპირ და არაპირდაპირ კონტროლს დაქვემდებარებულ შვილობილ კომპანიებზე დაგეგმილ ერთპიროვნული კონტროლის მოპოვებას.

შესაბამისი ბაზრის ანალიზის განხორციელების შედეგად, დადგინდა, რომ 2020 წელს, იმპორტის ბაზრის მოცულობა შეადგენდა – 132 103 805 ლარს, წარმოების ბაზრის მოცულობა – 83 469 363 ლარს, ხოლო ექსპორტის – 582 847 ლარს. ბაზრის კონცენტრაციის HHI ინდექსმა შეადგინა 383.25 ერთეული – რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. კონცენტრაციის განხორციელების შედეგად, HHI ინდექსი შეადგენს 416.4 ერთეულს, რაც ასევე დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია (HHI 33.2).

შესაბამისად, სააგენტომ დაადგინა, რომ ორი კომპანიას შორის დაგეგმილი კონცენტრაცია, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–11 მუხლის შესაბამისად, არსებითად არ ზღუდავდა ეფექტიან კონკურენციას და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.

დოკუმენტი – https://bit.ly/39e2t7e

კონცენტრაცია ალკოჰოლური სასმელების, სხვადასხვა საკვები პროდუქტების და საოჯახო ჭურჭლის/ საყოფაცხოვრებო ნივთებით ვაჭრობის ბაზარზე

შეტყობინება მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ უკავშირდებოდა შემძენის – ალკოჰოლური სასმელების ბაზარზე მოქმედი კომპანიის მიერ მნიშვნელოვანი წილის შეძენას კომპანიაში, რომელიც მოქმედებდა სხვადასხვა საკვები პროდუქტების და საოჯახო ჭურჭლის/საყოფაცხოვრებო ნივთებით ვაჭრობის ბაზარზე.

ბაზრის ანალიზის შედეგად, სააგენტომ დაადგინა, რომ კონცენტრაციის მონაწილე მხარეები მოქმედებდნენ სხვადასხვა შესაბამის ბაზრებზე. კერძოდ, ალკოჰოლური სასმელების და სხვადასხვა საკვები პროდუქტების რეალიზაცია და საოჯახო ჭურჭლით/ საყოფაცხოვრებო ნივთებით ვაჭრობა.

შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილებით, ეკონომიკურ აგენტებს შორის დაგეგმილი კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. მხარეები ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა შესაბამის ბაზრებზე და დაგეგმილი კონცენტრაცია ვერ მოახდენს გავლენას შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის ინდექსზე.

დოკუმენტი – https://bit.ly/3knd9Tn

კონცენტრაცია გათბობის, შესაბამისი წყალგაყვანილობის და მათთან დაკავშირებული სისტემების ბაზარზე

წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციების სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების ფაქტების იდენტიფიცირების მიზნით წარმოებული მონიტორინგს ფარგლებში, გამოვლინდა კონცენტრაცია, რომელიც ეკონომიკურმა აგენტებმა სააგენტოსთვის წინასწარი წერილობითი შეტყობინებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე განახორციელეს. კონცენტრაცია ეხებოდა გათბობისა და შესაბამისი წყალგაყვანილობის, მათთან დაკავშირებული სისტემების ბაზარს.

სააგენტოში, კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე ეკონომიკურ აგენტს, შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, დაეკისრა ჯარიმა 15000 ლარის ოდენობით და დაევალა განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების კანონმდებლობით დადგენილი სახით სააგენტოში წარმოდგენა.

კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შეფასებისა და შესაბამისი ბაზრის ანალიზის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ 2020 წელს შესაბამისი ბაზრის მოცულობამ შეადგინა 118 მილიონი ლარი; იმპორტი განახორციელა 240-მა ეკონომიკურმა აგენტმა; ბაზარზე კონცენტრაციის - ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა 476 ერთეული, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. შესაბამისად, საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა, რომ განხორციელებული კონცენტრაცია, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, ეფექტიან კონკურენციას არსებითად არ ზღუდავს და კონკურენტულ გარემოსთან თავსებადია. კერძოდ, განსახილველი სასაქონლო ბაზარი, HHI ინდექსის გათვალისწინებით, დაბალკონცენტრირებულია და განხორციელებული კონცენტრაციის შედეგად ადგილი არ აქვს აღნიშული მაჩვენებლის არსებით ცვლილებას.

დოკუმენტი - https://bit.ly/3kj4MbD

- კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს.
- სააგენტოს გვერდის ავლით, უწყების მიერ შეტყობინების განხილვამდე ან უარყოფითი დასკვნის მიუხედავად, კონცენტრაციის განხორციელების შემთხვევებში განისაზღვრება ჯარიმა - მაქსიმუმ, 5%-მდე მოცულობით.
- კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხილვის საფასურია 5000 ლარი.
- წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციების შესაძლო ფაქტების გამოვლენისა და მათზე კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი რეაგირების მიზნით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და შემოსავლების სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო ახორციელებს ყოველკვარტალურ მონიტორინგს.

სახელმწიფო დახმარება

უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების ყოველწლიური რეესტრის წარმოების მიზნით, მუნიციპალიტეტებს, სამინისტროებს, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს გაეგზავნა წერილები (სულ 76 წერილი) 2021 წელს გაცემული უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების თაობაზე ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენის შესახებ.

> მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2021 წელს ქვეყანაში გაცემულია 911 ერთეული უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარება, რაც 133%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს - 390 ერთეული. 47 მუნიციპალიტეტისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წელს, უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარება არ გაცემულა.

> 2021 წელს გაცემული უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების საერთო მოცულობამ შეადგინა 14 744 673 ლარი, რაც 22%-ით აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს.

14 744 673

2021 წელს, უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების გამცემ ყველაზე მსხვილ ორგანოს, 2020 წლის მსგავსად, წარმოადგენდა თბილისის მუნიციპალიტეტი - საერთო ჯამში გაცემული უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარებების 84%. დახმარების ძირითადი ნაწილი გაცემულია კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის სფეროს მიმართულებით. სახელმწიფო დახმარების ფორმას ძირითადად წარმოადგენდა ფინანსური დახმარება.

- უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარებას მიეკუთვნება სახელმწიფო დახმარების გამცემი ორგანოს მიერ საბიუჯეტო სახსრების ან სახელმწიფო რესურსების გადაცემით ან სხვა შეღავათის დაწესებით ეკონომიკური აგენტისათვის შერჩევითი ეკონომიკური უპირატესობის მინიჭება, რომლის მოცულობა ერთ ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით, ჯამურად, ზედიზედ 3 ფისკალური წლის განმავლობაში არ აღემატება 400 000 ლარს, ხოლო სახმელეთო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის სფეროში და სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედ ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებით - ჯამურად, ზედიზედ 3 ფისკალური წლის განმავლობაში არ აღემატება 200 000 ლარს.
- უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების გამცემი ორგანო ვალდებულია, ყოველწლიურად, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 თებერვლამდე, მიაწოდოს სააგენტოს ინფორმაცია გაცემული უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების ოდენობის, გაცემის ვადისა და მიმღები ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების თაობაზე. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სააგენტო აწარმოებს უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების ყოველწლიურ რეესტრს.

ანტიდემპინგი

2021 წელს ძალაში შევიდა „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის აღსრულების პროცესშიც ძირითადი უფლებამოსილებებით სააგენტო აღიჭურვა. კერძოდ, კანონის შესაბამისად, სააგენტო წარმოადგენს შესწავლის ორგანოს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების საჭიროების შესახებ დასკვნის მომზადება, რის შემდეგაც საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობა იღებს, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულებას სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი უზრუნველყოფს.

სააგენტომ ანტიდემპინგური პოლიტიკის განხორციელება შესაბამისი ნორმატიული ბაზის მომზადებით დაიწყო. კერძოდ, კანონით განსაზღვრული გარდამავალი პერიოდის განმავლობაში შემუშავდა “ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების თაობაზე“ https://bit.ly/3ON4p6U და „საქართველოს მთავრობის მიერ ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის თაობაზე“ https://bit.ly/3rUyXdl საქართველოს მთავრობის დადგენილებების პროექტები.

2021 წლის 1 ივნისიდან, საქართველოს მთავრობის მიერ აღნიშნული დადგენილებების დამტკიცების საფუძველზე, სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს ადგილობრივი ინდუსტრიის განცხადება და განახორციელოს შესწავლა დემპინგური იმპორტისა და ადგილობრივ ინდუსტრიაზე არსებული ზიანის დადგენის მიზნით.

“ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით, შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების თაობაზე“, მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება სააგენტოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები, რაც მოიცავს:

- ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოსადგენი წერილობითი განცხადების ფორმას და განცხადების მიღების წესებს;
- შესწავლის დაწყებისა და წარმოების პროცედურებს;
- დემპინგის დადგენის მიზნით, ნორმალური ღირებულებისა და საექსპორტო ფასის დადგენას;
- ადგილობრივ ინდუსტრიაზე მიყენებული ზიანისა და მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენას დემპინგურ იმპორტსა და ზიანს შორის;
- დასკვნის შემუშავებისა და ანტიდემპინგური ღონისძიების განსაზღვრის წესებს.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს აპარატი

2021 წლის პირველი იანვრიდან, სააგენტოს სტრუქტურის ქვეშ საქმიანობა დაიწყო სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს აპარატმა, რომლის ძირითადი ფუნქციებია:

- სახელმწიფო შესყიდვებსა და შერჩევის პროცესთან დაკავშირებული დავების განხილვის მომზადების შიდაუწყებრივი პროცედურების წარმართვა;
- დავების განხილვის საბჭოს სხდომების ორგანიზება და ოქმების შედგენა, სხვა დოკუმენტაციისა და კორესპონდენციის წარმოება;
- კომპეტენციის ფარგლებში, დავების განხილვის საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
- დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარის, აგრეთვე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის საბჭოს შემადგენლობიდან არჩევისა და უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების პროექტების მომზადება;
- საქმის მომზადება სასამართლო დავების განხილვისათვის;
- დავების განხილვის საბჭოსა და საბჭოს აპარატის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების, მათ შორის, ინსტრუქციების, პროცედურული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებების პროექტების მომზადება;
- დავების განხილვის საბჭოსა და საბჭოს აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- დავების განხილვის საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო პრაქტიკის, სასამართლოს გადაწყვეტილებების მოძიება, დამუშავება და სხვა.

- სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სააგენტოსთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებებიდან ფინანსდება.
- სააგენტო დავების განხილვის საბჭოსა და საბჭოს აპარატს საქმიანობისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფს.

საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე განხორციელებული აქტივობები

საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, 2021 წლის განმავლობაში, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე, მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა.

სააგენტოს ინიცირებით და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის (AA Facility) ფინანსური მხარდაჭერით, სამუშაო შეხვედრები შედგა – ბიზნესის, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დარგობრივი ასოციაციების, ასევე საკონსულტაციო კომპანიების წარმომადგენლებთან. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ონლაინ ფორმატში, გაიმართა სამუშაო შეხვედრები. კონკურენციის და ანტიდემპინგის საკითხებზე, რეგიონებში დაიწყო – ადგილობრივი ხელისუფლების, მეწარმეებისა და ბიზნესის წარმომადგენლებისთვის საინფორმაციო შეხვედრები, რომლებიც 2022 წელსაც გაგრძელდება.

2021 წლის განმავლობაში, სააგენტო ჩართული იყო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით განხორციელებულ ღონისძიებებში. ამავდროულად, როგორც ევროკავშირის, ასევე აშშ-ის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით ორგანიზებულ იქნა სააგენტოს თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის პრაქტიკული ვორქშოფი და სემინარი ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღებასთან დაკავშირებული საქმის წარმოებისა და ამ მიმართულებით არსებულ საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან დაკავშირებით.

საქართველოში აშშ-ის საელჩოს და CLDP-ის მხარდაჭერით, სახელმწიფო შესყიდვებში – ფარული გარიგებების გამოვლენის და მათთან ბრძოლის საკითხებზე სემინარი გაიმართა.

განხორციელდა გაფართოებული, გასვლითი შეხვედრა-სემინარი თემაზე: კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების, მიღებული შედეგებისა და არსებული გამოწვევების შესახებ.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, მსოფლიო კონკურენციის დღესთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება – „კონკურენციის პოლიტიკა ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკისთვის“.

მედიაციისა და კონკურენციის სფეროში მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს მედიატორთა ასოციაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

USAID-ის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების (HICD) პროექტის მხარდაჭერით, განხორციელდა სააგენტოს გრძელვადიანი ორგანიზაციული სტრატეგიის და კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება.

ქ. ერევანში, სააგენტოს თავმჯდომარე, ირაკლი ლექვინაძემ მონაწილეობა მიიღო ღონისძიებაში „კონკურენციის პოლიტიკა, მიღწევები, გამოწვევები და წინსვლის გზები“

COVID-19 და კონკურენციის ეროვნული სააგენტო

2021 წელს, პანდემიით (კოვიდ-19) გამოწვეული ინფექციის შემსუბუქების მიზნით, ქვეყანაში დაწესებული სხვადასხვა სახის შეზღუდვების გამო, საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ერთიანი ცხელი ხაზის (144) მართვის პროცესში, ოპერატორების დასახმარებლად სააგენტოს თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული.

ონლაინ ღონისძიების ფორმატებში ჩართულობა

OECD
BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

23 თებერვალი
სემინარი ბაზრის დადგენის მეთოდოლოგიაზე.

25 თებერვალი
სემინარი გენდერისა და კონკურენციის პოლიტიკის შესახებ.

18-19 ნოემბერი
პროფესიულ სერვისებში კონკურენციის რეგულირების ბარიერები

6-8 დეკემბერი
გლობალური ფორუმი.

UNITED NATIONS
UNCTAD

18 ივნისი
III ფაზის აქტივობების პრეზენტაცია „DA COVID-19 ტექნიკური თანამშრომლობის პროექტი კონკურენციის პოლიტიკისა და MSME (მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები) აღორძინების შესახებ“.

21 ივნისი
UNCTAD-ის რეგიონალური დიალოგის მეხუთე შეხვედრა.

RCC OECD-GVH
Regional Centre for Competition in Budapest (Hungary)

2 4 მარტი
კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებები საჯარო შესყიდვებში.

18-19 მაისი
“ბაზრის შესწავლა: როგორც მთავარი მამოძრავებელი კონკურენციის ადვოკატირებისა და აღსრულებისთვის”.

21-22 სექტემბერი
დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შეფასება.

9-10 დეკემბერი
ანტიმონოპოლიური მოკვლევების ეფექტური ჩატარება

International Competition Network

22 ივნისი
„ახალგაზრდა სააგენტოები ICN- ის მესამე ათწლეულში“.

9 სექტემბერი
საქმის მოკვლევის დაგეგმვა და განხორციელება.

16-23 სექტემბერი
საიმედო მტკიცებულებების შემუშავება- დოკუმენტები და მონაცემები.

30 სექტემბერი
საერთაშორისო თანამშრომლობა

13-15 ოქტომბერი
ყოველწლიური კონფერენცია

25 ოქტომბერი
ICN 20 წლის იუბილე

2014-2021 წლები - შედეგები და ძირითადი მაჩვენებლები

9	დასრულებული ბაზრის მონიტორინგი
17	თანხმობა კონცენტრაციის შესახებ
86	რეკომენდაცია კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის:
55	სახელმწიფო ხელისუფლების/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი
18	ეკონომიკური აგენტებისადმი
13	ფარმაციის ბაზრის შესწავლის პროცესში

36 დასრულებული მოკვლევა

7	დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევა
9	კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ფაქტი
11	სახელმწიფო უწყებების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის ფაქტი
9	არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევა

სასამართლო დავები

მიმდინარე 16

3	დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაზე
4	კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ფაქტზე
6	სახელმწიფო უწყებების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის ფაქტზე
2	არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევაზე
1	დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, სახელმწიფო უწყებების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევის ფაქტზე ერთობლივად

2014 – 2021 წლებში სააგენტოს მიერ დადგენილ დარღვევებზე, ჯამში, გადახდილია **3 მლნ ლარამდე ჯარიმა.**

დასრულებული 10

2015-2021 წლებში

სააგენტოს სასარგებლოდ	9
ხელახალი შესწავლისათვის	1

1	დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაზე
1	კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების ფაქტზე
3	სახელმწიფო უწყებების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის ფაქტზე
2	კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევაზე ერთობლივად
1	მონიტორინგის ბათილობის საკითხზე
1	ინფორმაციის მოუწოდებლობის ჯარიმის საკითხზე
1	სააგენტოს მიერ - ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საკითხზე

საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

(032) 244 07 70

info@gnca.gov.ge

www.gnca.gov.ge

https://bit.ly/37SCd22

https://bit.ly/3rZdxvL

https://bit.ly/37SCd22

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი “მწვანე ოფისი”, მე-10 სართული